ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

N 47 244
22/03/2017

244-47-4-201703221700

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის შენობა- ნაგებობების (სკოლის შენობა, საწყობი, სახელოსნო) სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შეთანხმების შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილია ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის შენობა- ნაგებობების (სკოლის შენობა, საწყობი, სახელოსნო) სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი, რომელიც დამუშავებულია ს.ს.ი.პ. ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო'' -ს მიერ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' შესაბამისად თავი XIV მუხლი67-ე სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი ექვემდებარება შეთანხმებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმებულ იქნას, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელციხიის საჯარო სკოლის ძველი შენობა-ნაგებობების (სკოლის შენობა,საწყობი,სახელოსნო) სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი.

2. სადემონტაჟო ვადის ხანგძლივობა განისაზღვროს 2017 წლის 1 ივლისამდე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს (ს უგრეხელიძე).

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ.N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

რობიზონ გვენეტაძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი